



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 3 აგვისტო, 2017 წელი

დრო: 16:00 -19:30

შეხვედრის ადგილი: ევროპის ფონდის ოფისი *(მის: 3 ლადო კავსაძის ქუჩა)*

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ევროპის ფონდი
2. ლაშა ტულუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ევროპული ინიციატივა ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. თენგიზ სვანიძე - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია ”საქართველოს ჩაი“
6. ნანა ფიროსმანაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი
8. ვლადიმერ ბოჭაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
9. რაისა ლიპარტელიანი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

- გენდერული ქვეჯგუფის დამტკიცება;
- ბათუმის კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზის“ მიმოხილვა;
- პლატფორმის მდგრადი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვა;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ოფისთან მემორანდუმის გაფორმების საორგანიზაციო საკითხები;
- საქართველოს ეროვნული პლატფორმის მაღალი დონის კონფერენციის საკითხები;
- ქართულ-ევროპული პლატფორმის საერთო განცხადების ინიციატივის გაცნობა;
- ახალი წევრების მიღება;
- და სხვა.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად საბჭომ განიხილა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, ქალბატონი მანანა ბიწაძე-მიქელაძის წინადადება გენდერული ქვეჯგუფის დაარსების შესახებ. მან წარადგინა პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ინიციატივა შეიქმნას ქვეჯგუფი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინიციატივა აქამდეც არსებობდა მეოთხე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, თუმცა სამწუხაროდ, ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ქვეჯგუფი, რომელიც ღია იქნება ყველა ჯგუფის წარმომადგენლისთვის. ჯგუფის კოორდინატორმა ასევე ისაუბრა საარჩევნო ქვეჯგუფის გააქტიურების საკითხზე.

საბჭომ შემდეგ საკითხად განიხილა ბათუმის კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზის“ შედეგები. საბჭომ დადებითად შეაფასა პლატფორმის სახელით ღონისძიებაზე მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცა აქვე აღინიშნა, რომ საჭიროა წინასწარ მომზადდეს ის საკითხები, რომლებიც კონფერენციაზე პლატფორმის მხრიდან გაჟღერდება. მიიღეს გადაწყვეტილება, რამდენადაც კონფერენციის თარიღი უცვლელია და მუდმივად ივნის-ივლისში ტარდება, ყოველი წლის მაისში პლატფორმის სამუშაო ჯგუფებში დიწყოს საკითხების მომზადება.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე საბჭომ განიხილა პლატფორმის მდგრადი განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საკითხი. საკოორდინაციო საბჭოს წინა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად - მომზადდეს პლატფორმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, საბჭომ 7 ივლისს გამართა სამუშაო შეხვედრა, სადაც მოწვეულ ფასილიტატორთან ერთად შემუშავდა დოკუმენტის ძირითადი მიმართულებები. ამ ეტაპზე დოკუმენტი შემუშავების პროცესშია. გარდა ამისა, თავმჯდომარემ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, მან მიიღო შეტყობინება ევროკავშირის წარმომადგენლობის მხრიდან, რომ შესაძლოა ევროკავშირის დელეგაციამ ვერ გამონახოს თანხები პლატფორმის დაფინანსებისთვის. არსებული რეალობის გათვალისწინებით, თავმჯდომარემ წარადგინა წინადადება, რომ სტრატეგიულ დოკუმენტთან ერთად, საჭიროა დაფინანსების მოპოვების შესაძლო გზების მოძიების მექანიზმების შემუშავებაც.

საბჭომ ასევე განიხილა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ოფისთან მემორანდუმის გაფორმების საკითხი. მესამე სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი კოორდინატორის, „საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრი“-ს წარმომადგენლის აზრით, უმჯობესია მემორანდუმის გაფორმება გადაიდოს, რადგანაც გუბერნატორის ოფისი ჩართულია მაღალი ძაბვის მქონე ელექტროგადამცემი ქსელის, სამეგრელოს რეგიონში, გაფართოების საქმეში, რაც სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. მისი ინფორმაციით მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტისა, არ წყდება სამუშაოები. სწორედ ამიტომ ჯგუფის კოორდინატორმა მიიჩნია, რომ მემორანდუმის გაფორმება, ამ ვითარებაში, არ არის მიზანშეწონილი. რამდენადაც თანამშრომლობის მემორანდუმი არ გულისხმობს გუბერნატორის ოფისის საქმიანობის მხარდაჭერას, უფრო მეტიც არის დისკუსიისა და ჩართულობის კარგი მექანიზმი, 8 ხმით ერთის წინააღმდეგ, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 7 აგვისტოს ხელი მოეწეროს სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ოფისთან თანამშრომლობის მემორანდუმს.

მესამე ჯგუფის კოორდინატორს ეთხოვა მოამზადოს წერილი/განცხადება ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების საკითხის შესახებ და ამ გზით დაფიქსირდეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დამოკიდებულება.

შემდეგ საკითხად საბჭომ განიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის მაღალი დონის კონფერენციის საკითხები. მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული პლატფორმა ყოველწლიურად მართავს მაღალი დონის კონფერენციას. კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის წარმომადგენლობის, მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები. ამდენად კონფერენცია ჩატარდება სამმხრივი დიალოგის ფორმატში (ხელისუფლება, ევროკავშირი, პლატფორმა). საბჭოს გადაწყვეტილებით კონფერენციის თარიღად განისაზღვრა ა.წ 25 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე ერთ-ერთი სამუშაო დღე. ღონისძიების ფორმატი მოიცავს 1 პლენარულ და 6 პარალელურ სესიას. პლენარული სესიის საკითხები შესაძლოა იყოს შედარებით ფართო, ზოგადი გარემოს შეფასება. პარალელური სესიები მიემდგნება თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემატურ საკითხებს და შესაბამისად, მომხსენებლები მოწვეულ სტუმრებთან ერთად, იქნებიან ჯგუფის წევრები. ჯგუფების მიხედვით საორიენტაციო განსახილველი საკითხები შესაძლოა იყოს შემდეგი:

- I ჯგუფი - ადამიანის უფლებები და არჩევნები;
- II ჯგუფი - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება;
- III ჯგუფი - ენერგეტიკა და გარემოზე ზემოქმედება;
- IV ჯგუფი - კონფლიქტები, განათლება;
- V ჯგუფი - შრომითი უფლებები და სოციალური დიალოგი.

ასევე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეთხოვოთ პლატფორმის წევრ ორგანიზაციებს საბჭოს წარუდგინონ ნახევარგვერდიანი დასაბუთება, სამუშაო ჯგუფების თემატიკიდან გამომდინარე, თუ რომელი საკითხის განხილვა მიაჩნიათ მიზანშეწონილად კონფერენციაზე. დასაბუთებაში მკაფიოდ უნდა სჩანდეს პრობლემა, მისი აქტუალურობა და ასოცირების ხელშეკრულებასთან შესაბამისობა. შემოსულ წინადადებებზე დაყრდნობით, საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას იმ საკითხების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იქნება კონფერენციაზე. შემდგომ ამისა, წინადადებების ავტორები, მათ მიერ უკვე შესრულებულ საქმიანობაზე დაყრდნობით,

მომზადებენ მინიმუმ 2 გვერდიან რეზიუმეს საკითხთან დაკავშირებით, სადაც შეთავაზებული იქნება კონრეტული რეკომენდაციები ხელისუფლებისთვის. კონფერენციაზე რეზიუმეს ავტორები მომხსენებლებად წარსდგებიან რეკომენდაციის მიმღებ მხარესთან ერთად.

ღონისძიების ორგანიზებისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება რეგიონალური ორგანიზაციების უშუალო ჩართულობასა და მონაწილეობაზე. ასევე დაცული იქნება შემდეგი წარმომადგენლობითი პრინციპი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია - პროფესიული კავშირები - ბიზნესი. შესაძლებელია ბიზნესის წარმომადგენლები მოწვეულნი იყვნენ პლატფორმის გარედანაც.

შემდეგ საკითხად ორგანიზაციის „ქალი და ბიზნესი“ წარმომადგენლმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილი, ქართულ-ევროპული პლატფორმის საერთო განცხადების ინიციატივის შესახებ. განცხადების მთავარ საკითხებად გამოიკვეთა სამი ძირითადი იდეა - მოითხოვონ:

- ევროპული პერსპექტივა მიენიჭოს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას;
- დაიწყოს შექმნა „ევროპის ეკონომიკური ზონა +“ -ის მოდელის (European Economic Area (EEA) +), სადაც საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ჩაერთვება;
- დაჩქარდეს პროგრამა: „პარტნიორობა მობილობისთვის“ (Mobility Partnership) სამივე ქვეყანაში (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა)

ოქტომბერში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ყოველწლიურ კრებაზე კი გააჟღერონ აღნიშნული ინიციატივა და იგივე ტექსტი ან იმავე შინაარსის მატარებელი სხვა განცხადება გავრცელდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმების ან სრულიად ფორუმის სახელით.

შეხვედრის ბოლოს საბჭომ განიხილა გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების აპლიკაციები და დადებითად გადაწყვიტა შემდეგი ორგანიზაციების გაწევრიანება:

- ასოციაცია კავკასიის გენეტიკა;
- საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“;
- კავკასიის განვითარების ჯგუფი;
- გურიის აგრობიზნესცენტრი;
- სოციალური დაცვის ლიგა.

ორგანიზაციას: „თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი“ ეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. ხოლო ორგანიზაციას „კანონი და სამართლიანობა“ უარი ეთქვა გაწევრიანებაზე.

სამსაათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა